

**2014 წლის მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდის პროგრამა
უცხოურ ენებში**

ინგლისური

არსებითი სახელი	- კონკრეტული, აბსტრაქტული - თვლადი, უთვლადი - ბრუნება; რიცხვი
არტიკლი	განსაზღვრული, განუსაზღვრელი, ნულოვანი
ზედსართავი სახელი	- შედარების ხარისხები
რიცხვითი სახელი	რაოდენობითი, რიგობითი
ნაცვალსახელი	პირის, ჩვენებითი, კუთვნილებითი, კითხვითი, მიმართებითი, განუსაზღვრელი, უკუქცევითი, ემფატური
ზმნა	- წესიერი, არაწესიერი; პირიანი, უპირო - სრულმნიშვნელოვანი, დამხმარე, მაკავშირებელი, გარდამავალი, გარდაუვალი, მოდალური, ფრაზული - გვარი; კილო - დროის ფორმები მოქმედებით გვარში: Present, Past, Future Simple; Future Simple in the Past Present, Past, Future Continuous; Future Continuous in the Past Present, Past, Future Perfect; Present, Past Perfect Continuous - დროის ფორმები ვნებით გვარში: Present, Past, Future Simple Present, Past, Future Continuous Present, Past Perfect
ზმნიზედა	ზმნიზედის სახეები; შედარების ხარისხები
წინდებული	წინდებულის სახეები
კავშირი	მაერთებელი, მაქვემდებარებელი; მაკავშირებელი სიტყვები
წინადადება	- მარტივი; რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი - მტკიცებითი, კითხვითი, უარყოფითი; თხრობითი, ბრძანებითი - პირობითი წინადადებები (Conditional I, II, III) - წინადადების წევრები; წინადადების წყობა
პირდაპირი და ირიბი თქმა	დროთა თანმიმდევრობა
სიტყვაწარმოება	სუფიქსები, პრეფიქსები
ფონეტიკა	- ბგერების და ბგერათშეთანხმებების წარმოთქმა; - სიტყვის და წინადადების მახვილი
ორთოგრაფია/პუნქტუაცია	მართლწერის წესები

გერმანული

არსებითი სახელი	• ბრუნვა; ბრუნება; სქესი • მრავლობითი რიცხვის წარმოება
არტიკლი	• განსაზღვრული, განუსაზღვრელი, ნულოვანი
ნაცვალსახელი	• პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, პირნაკლი, კითხვითი, მიმართებითი, განუსაზღვრელი, უკუქცევითი, უარყოფითი
ზედსართავი სახელი	• ბრუნება • შედარების ხარისხები
რიცხვითი სახელი	• რაოდენობითი, რიგობითი, წილადი
წინდებული	• მიცემითი ბრუნვის წინდებულები • ნათესაობითი ბრუნვის წინდებულები • ბრალდებითი ბრუნვის წინდებულები • მიცემითი და ბრალდებითი ბრუნვების საერთო წინდებულები
ზმნა	• სუსტი, ძლიერი, არაწესიერი და შერეული ზმნები; • ზმნის ძირითადი ფორმები; ზმნის უღლება; ზმნის დროის ფორმები • უკუქცევითი, დამხმარე და მოდალური ზმნები; • მოუცილებად- და მოცილებად-თავსართიანი ზმნები; კაუზატიური ზმნები • თხრობითი, ბრძანებითი, კავშირებითი კილო • ვნებითი გვარი; ინფინიტივი zu ნაწილაკით და მის გარეშე • ინფინიტიური კონსტრუქციები; მიმღეობა I და II; ზმნის მართვა
ზმნიზედა	• დროის, ადგილის, ვითარების; ზმნიზედის შედარების ხარისხები • ნაცვალსახელური ზმნიზედები
კავშირი	• მაერთებელი და მაქვემდებარებელი კავშირები
ნაწილაკი	• etwa, wohl, denn, doch , eigentlich, bloß, recht, zu, sogar, auch...
უარყოფა	• nicht, kein
სიტყვაწარმოება	• შედგენილი სიტყვები; გაარსებითება • სიტყვაწარმოება პრეფიქსებით და სუფიქსებით
მარტივი წინადადება	• თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი; • წინადადების წევრები
რთული წინადადება	• თანწყობილი, ქვეწყობილი
ფონეტიკა	• ბგერების და ბგერათშეთანხმებების წარმოთქმა; სიტყვის მახვილი.
ორთოგრაფია/ პუნქტუაცია	• მართლწერის წესები

ფრანგული

არსებითი სახელი	მდედრობითი სქესისა და მრავლობითი რიცხვის წარმოება
არტიკლი	განსაზღვრული, განუსაზღვრელი, შერწყმული, ნაწილობითი.
ზედსართავი სახელი	- თვისებითი, ჩვენებითი, კუთვნილებითი, განუსაზღვრელი, კითხვითი, სქესისა და რიცხვის წარმოება - შედარების ხარისხები
რიცხვითი ზედსართავი სახელი	რაოდენობითი, რიგობითი
ნაცვალსახელი	პირის (მახვილიანი, უმახვილო), პირდაპირი და ირიბი დამატების ფუნქციით თხრობით და ბრძანებით კილოში, განუსაზღვრელი, კუთვნილებითი, ჩვენებითი, მიმართებითი, კითხვითი, ზმნიზედური en და y
ზმნა	- წესიერი, არაწესიერი - ზმნის სამი ჯგუფი - დრო, აქტიური და პასიური ფორმები, - ნაცვალსახელოვანი ზმნები, უპირო ზმნები, დამხმარე ზმნები - participe passé-ს შეთანხმება პირის ნაცვალსახელთან être-ით ნაუღლებ ზმნებში - კონსტრუქციები il y a, verbe+infinitif, il faut+nom, il faut+infinitif du verbe - დროთა შეთანხმება თხრობით და კავშირებით კილოში
ზმნის დროებისა და ფორმების წარმოება და გამოყენება	Présent, futur proche/futur immédiat, passé récent/passé immédiat, imparfait, passé composé, participe passé, plus-que-parfait, passé simple, futur simple, participe présent, gérondif, impératif, infinitif, conditionnel présent, subjonctif présent, futur dans le passé.
ზმნიზედა	- დროის, ადგილის, რაოდენობის, ვითარების, მტკიცებითი, უარყოფითი, კითხვითი - შედარების ხარისხები
წინდებული	à, en dans sur, sous, chez, etc.
კავშირი	- მაკავშირებელი mais, où, et, ni, car, donc - მაქვემდებარებელი que, quand, parce que, lorsque, etc.
შორისდებული	Hein, bof, etc.
სიტყვით წარმოება	Direction directeur diriger, etc.
წინადადება	- მტკიცებითი, კითხვითი, უარყოფითი (ფორმები) - მარტივი, რთული თანწყობილი, რთული ქვეწყობილი
პირდაპირი და ირიბი თქმა	წინადადების წყობა; დროთა თანმიმდევრობა
ორთოგრაფია და პუნქტუაცია	მართლწერის წესები

რუსული

არსებითი სახელი	- სულიერი, უსულო; საკუთარი საზოგადო; კონკრეტული, აბსტრაქტული; კრებითი, ნივთიერებათა; - სქესი, რიცხვი, ბრუნება; ბრუნების ტიპები; - უცვლელი არსებითი სახელები
ზედსართავი სახელი	- სქესი, რიცხვი, ფუძე, ბრუნება; ჯგუფები. - შედარების ხარისხები. სრული და მოკლე ფორმა. შეთანხმება არსებით სახელთან.
რიცხვითი სახელი	- მარტივი, რთული, შედგენილი. რაოდენობითი, რიგობითი, კრებითი, წილობითი - არამუდმივი ნიშან-თვისებები: სქესი, რიცხვი, ბრუნვა. ბრუნება
ნაცვალსახელი	- პირის, კუთვნილებითი, კითხვითი, მიმართებითი, ჩვენებითი, განსაზღვრებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი, უკუქცევითი; ბრუნება. სქესი, რიცხვი, პირი - შეთანხმება არსებით სახელთან
ზმნა	- ინფინიტივი, ასპექტი, დრო, გვარი, პირი, რიცხვი, კილო, სქესი - გარდამავალი, გარდაუვალი, უკუქცევითი; უღლება; თავისებურ ზმნათა უღლება; უპირო ზმნები; მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები
მიმღეობა	- მოქმედებითი, ვნებითი; დრო; ვნებითი მიმღეობის მოკლე ფორმა; მიმღეობის წარმოება და გამოყენება - ბრუნება; მიმღეობის კონსტრუქცია
აბსოლუტივი (გერუნდივი)	სრული და უსრული ასპექტის ფორმები; გარდამავლობა; უკუქცევითობა; აბსოლუტივიანი კონსტრუქცია
ზმნიზედა	- ჯგუფები; წარმოება; შედარების ხარისხები - მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვები
კავშირი	- წარმოებული/ არაწარმოებული; შემაერთებელი, მაპირისპირებელი, განმაცალკევებელი, - მაქვემდებარებელი; მაკავშირებელი სიტყვები
წინდებული	წარმოებული/ არაწარმოებული; მარტივი, რთული, შედგენილი; წინდებულიანი ბრუნვები
ნაწილაკი	უარყოფითი, მოდალური, ფორმაწარმოქმნელი
შესიტყვება	სინტაქსური შეკავშირების სახეები (შეთანხმება, მართვა, მირთვა)
წინადადება	<u>მარტივი წინადადება</u>: თხრობითი, კითხვითი, ძახილის; წინადადების წევრები; გავრცობილი/ გაუვრცობელი, სრული/ არასრული წინადადება; წინადადების ერთგვაროვანი წევრები. <u>რთული წინადადება</u>: თანწყობილი და ქვეწყობილი; დამოკიდებული წინადადების სახეები. უკავშირო რთული წინადადება; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.
სიტყვაწარმოება	სიტყვაწარმოების ძირითადი ხერხები.
ფონეტიკა	ბგერების და ბგერათშეთანხმებების წარმოთქმა; სიტყვის მახვილი.

ორთოგრაფია და პუნქტუაცია	• მართლწერის წესები
-----------------------------	---

გამოცდაზე მოწმდება უცხოური ენის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა, კერძოდ, მისი

- ენობრივი კომპეტენცია
- უცხოური ენის სწავლების მეთოდის ცოდნა

მასწავლებელს უნდა შეეძლოს:

- წაიკითხოს შესაბამისი სირთულის (B2) ინფორმაციული, შემეცნებითი ან პროფესიული შინაარსის ტექსტი და გაიგოს მასში მოცემული როგორც ძირითადი აზრი, ასევე ფაქტობრივი ინფორმაცია.
- მოისმინოს შესაბამისი სირთულის ტექსტი (ინტერვიუ, დიალოგი) და გაიგოს მასში მოცემული როგორც ძირითადი აზრი, ასევე ფაქტობრივი ინფორმაცია.
- დაწეროს 180-230 სიტყვიანი თხზულება. მკაფიოდ, თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად გადმოსცეს საკუთარი აზრი მოცემულ თემათან დაკავშირებით. წერისას გამოხატოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია.
- ილაპარაკოს ბუნებრივად, დაუბრკოლებლად და არგუმენტირებულად მოცემული თემატიკის გარშემო. საუბრისას გამოხატოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია.
- გამოავლინოს უცხოური ენის სწავლების მეთოდის ძირითადი საკითხების ცოდნა, როგორცაა, მაგალითად, მოსმენის, კითხვის, წერის და ლაპარაკის უნარების განმავითარებელი დავალებების შერჩევა და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა; აქტივობების კონკრეტულ მიზნებთან მისადაგება; ენობრივი უნარების სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა; უცხოური ენის გაკვეთილის მიზნებისა და გაკვეთილის შესაბამისი ფაზების სხვადასხვა ტიპის დავალებებთან და აქტივობებთან მისადაგება და ა.შ.